



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

ბრძანება № 41

28/11/2013

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის
მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობის
დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36³-ე მუხლისა და საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) ცოტნე ყავლაშვილი - სახაზინო სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
 - ბ) ნინო ჭელიშვილი - სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
2. კომისიის მუშაობაში მოწვეული წევრის სტატუსით მონაწილეობა ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი კაკაურიძეს;
3. კომისიის მდივნად განისაზღვროს ლელა კუპატაძე - სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი სპეციალისტი. კომისიის მდივნის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს ერთ-ერთი მოხელე;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 2011 წლის 6 ივნისის #16 ბრძანება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე“.

ცოტნე ყავლაშვილი

სახაზინო სამსახურის უფროსი
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე

